

Davos²⁰¹⁸ Declaration

Conference of Ministers of Culture
20 – 22 January 2018, Davos Switzerland

ევროპა მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის გზაზე

ჩვენ, კულტურის მინისტრები და ევროპის კულტურული კონვენციის ხელმძღვანელი და ევროპის საბჭოს დამკვირვებელი ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები, ასევე UNESCO-ს, ICCROM-ს, ევროპის საბჭოს და ევროკომისიის წარმომადგენლები და ევროპის არქიტექტორთა საბჭოს, სივრცითი დაგეგმარების ევროპული საბჭოს, ICIMOS International-ის და Europa Nostra-ს წარმომადგენლები, შვეიცარიის ქალაქ დავოსში 2018 წლის 20-დან 22 იანვრის ჩათვლით შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის, შვეიცარიის ფედერალური დეპარტამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ალენ ბერსეტის მოწვევით, 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ წელს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიური შეხვედრის წინ,

ვითვალისწინებთ რა არსებულ გამოწვევებს, მათ შორის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ხანგრძლივ ზეგავლენას, დაჩქარებულ ურბანიზაციას, პერიფერიული რეგიონების შემცირებას, მიგრაციასა და სოციალურ ცვლილებას, უთანასწორობის გაზრდას, კლიმატის ცვლილებას და გარემოზე მიყენებულ ზიანს, და განსაკუთრებულ ზემოქმედებას, რომელიც მიადგა ჩვენს საცხოვრებელ გარემოს;

ვაცნობიერებთ რა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უფრო ინკლუზიური და მდგრადი მსოფლიოსკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, მაგრამ ამავდროულად ვგრძნობთ გადაუდებელ აუცილებლობას ამ ძალისხმევის გაძლიერებისა და ახალი მიდგომების შემუშავებისთვის ევროპული არქიტექტურული გარემოს კულტურული ფასეულობების დაცვისა და განვითარების მიზნით;

ვადიარებთ რა იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელსაც მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემო ქმნის მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის და რომელიც ხასიათდება ცხოვრების მაღალი ხარისხით, კულტურული მრავალფეროვნებით, ინდივიდუალური და კოლექტიური კეთილდღეობით, სოციალური სამართლიანობითა და ერთიანობით და ეკონომიკური ეფექტიანობით;

ვაცნობიერებთ რა მთელ ევროპაში განაშენიანებულ გარემოსა და ღია ლანდშაფტებზე ხარისხის ვარდნის ტენდენციას, რაც გამოიხატება მშენებლობების ტრივიალიზაციასა და საპროექტო ღირებულებების ნაკლებობაში, მათ შორისაა მდგრადობაზე ზრუნვის არარსებობა, უსახური ურბანული სივრცის ზრდა და მიწის უპასუხისმგებლო გამოყენება, ისტორიული სტრუქტურის განადგურება და რეგიონის ტრადიციებისა და თვითმყოფადობის დაკარგვა;

ვაცნობიერებთ რა, რომ დროა მივიღოთ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ დღევანდელი და მომავალი სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი და

კლიმატური მოვლენებისა და ტენდენციების შედეგად კვლავინდებურად ზიანი არ მიადგეს არქიტექტურული გარემოს ხარისხს, არამედ პირიქით, მოხდეს მათი, როგორც გაუმჯობესების შესაძლებლობების სახით გამოყენება და რომ ევროპის კულტურული მემკვიდრეობის 2018 წელი, რომლის მიზანია არქიტექტურული გარემოს ისტორიული განზომილების ღირებულების აღიარება, ამისთვის სწორი მომენტი;

ხაზს ვუსვამთ რა, რომ ყველას, მიუხედავად წარმომავლობისა, აქვს უფლება განიცადოს, გაიზიაროს და მიეკუთვნოს კულტურულ გარემოს, რომ ის წყობა, რომელშიც ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და ჩამოვყალიბდით, როგორც საზოგადოება, არის ფუნდამენტურად კულტურული და რომ ჩვენი საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბება, აქედან გამომდინარე, არის კულტურული აქტი,

ვაღიარებთ:

კულტურის მთავარ როლს განაშენიანებულ გარემოში

1. კულტურა ხელს უწყობს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგრადობას. იგი აყალიბებს ჩვენს იდენტობას და განსაზღვრავს ჩვენს მემკვიდრეობას. აქედან გამომდინარე, კულტურა უნდა მოექცეს განვითარების პოლიტიკის ცენტრში და გამოიკვეთოს მისი წვლილი საერთო კეთილდღეობის საქმეში. შეუძლებელია დემოკრატიული, მშვიდობიანი და მდგრადი განვითარება, თუ კულტურა არ იქნება მის ცენტრში.
2. პოლიტიკამ ხაზი უნდა გაუსვას ყველანაირი მიმართულებისა და მასშტაბის მდგრადი განვითარების მიმართ კულტურაზე ორიენტირებული მიდგომების აუცილებლობას. აღსანიშნავია ევროპის ლანდშაფტებისა და კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება და შეუცვლელია, ამასთანავე აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ ქალაქებსა და ურბანულ სივრცეებზე, არამედ პერიფერიებსა და სოფლის ტერიტორიაზე და მათ ურთიერთკავშირებზე.
3. აუცილებელია კომპლექსური, კულტურაზე ორიენტირებული მიდგომა განაშენიანებული გარემოს მიმართ და ჰუმანური დამოკიდებულება იმ სივრცეების მიმართ, რომელსაც ჩვენ ერთობლივად ვქმნით, ვცხოვრობთ და იმ მემკვიდრეობის მიმართ, რომელსაც ვტოვებთ.

მშენებლობის კულტურის კონცეფცია

4. მშენებლობის კულტურა მოიცავს ადამიანის ყველა საქმიანობას, რომელიც ცვლის განაშენიანებულ გარემოს. მთელი განაშენიანებული გარემო, მათ შორის ყველა შექმნილი და აშენებული აქტივი, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან, აღქმულ უნდა იქნეს, როგორც ცალკე ერთეული. მშენებლობის კულტურა მოიცავს არსებულ შენობებს, მათ შორის ძეგლებსა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ელემენტებს, აგრეთვე თანამედროვე შენობების დიზაინსა და მშენებლობას, ინფრასტრუქტურას, საჯარო სივრცეებსა და ლანდშაფტებს.

5. არქიტექტურული, სტრუქტურული და ლანდშაფტის დიზაინისა და მისი მატერიალური რეალიზაციის გარდა, მშენებლობის კულტურა ასევე მოიცავს პროექტების, ინფრასტრუქტურის, ქალაქების, სოფლებისა და ღია ლანდშაფტების მშენებლობის დაგეგმვის პროცესს.
6. მშენებლობის კულტურა ეხება როგორც დეტალურ სამშენებლო მეთოდებს, ასევე ფართომასშტაბიან ტრანსფორმაციებსა და განვითარებას, რაც მოიცავს მშენებლობის ტრადიციული და ადგილობრივი უნარებს, ასევე ინოვაციურ ტექნიკას.

ჩვენი ხედვა მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის შესახებ

7. ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება ახალი, ადაპტირებადი მიდგომა ჩვენი განაშენიანებული გარემოს ჩამოყალიბებაში; ერთი, რომელიც ფესვგადგმულია კულტურაში, აქტიურად აშენებს სოციალურ ერთიანობას, უზრუნველყოფს გარემოს მდგრადობას და ხელს უწყობს ყველას ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ეს არის მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა.
8. განაშენიანებული გარემოს დიზაინი, ურთიერთობა ობიექტებსა და მათ ირგვლივ გაშენებულ და ბუნებრივ გარემოს შორის, სივრცითი თანაარსებობა, მასშტაბი, მატერია: - ეს არის ყველა ის ფაქტორი, რომელსაც აქვს პირდაპირი გავლენა ჩვენი ცხოვრების ხარისხზე. ამიტომ, მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა გამოიხატება კარგად გააზრებული და მოფიქრებული დიზაინის შექმნაში თითოეული შენობისა და ლანდშაფტის დაგეგმვისას, მოკლევადიან ეკონომიკურ სარგებელზე უფრო კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა, ამგვარად, არა მხოლოდ აკმაყოფილებს ფუნქციურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს, არამედ აკმაყოფილებს ხალხის სოციალურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებსაც.
9. კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. დღეს ჩვენი დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გამოყენებისა და შენარჩუნების მიმართ გადამწყვეტ როლს ასრულებს მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემოს მომავალი განვითარებისათვის.

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის სარგებელი საზოგადოებისათვის

10. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა აუმჯობესებს ჩვენს განცდას ადგილთან დაკავშირებით. ადამიანთა მიერ მათი საცხოვრებელი ფართის იდენტიფიცირების გზით, ის ხელს უწყობს ინკლუზიური და ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ეწინააღმდეგება დისკრიმინაციას და რადიკალიზმს და ხელს უწყობს ინტეგრაციას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ეს არ ეხება მხოლოდ ქალაქის ცენტრებსა და ისტორიულ ადგილებს, არამედ ევროპის საცხოვრებელ გარემოს ყველა ასპექტს

გარეუბნებსა და სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, სოფლებს, სამრეწველო ზონებსა და ინფრასტრუქტურას.

11. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა ხელს უწყობს ძლიერი და შერეული სამეზობლოს განვითარებას. იგი ქმნის განაშენიანებულ გარემოს, რომელიც მოიცავს თანამედროვე კულტურულ გამოხატულებებს, თუმცა ამავე დროს პატივს სცემს კულტურულ მემკვიდრეობას. იგი უზრუნველყოფს მდგრად საცხოვრებელ პირობებს და აძლიერებს სოციალურ მდგრადობას ღირსეული, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის შექმნით.
12. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა იცავს გარემოს. იგი მხარს უჭერს ტრანსპორტისა და მიწის სწორ გამოყენებას, ზრდის ურბანულ მწვანე სივრცეებს და ხელს უწყობს ჯანმრთელობასა და ბიომრავალფეროვნებას.
13. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა მათებს ეკონომიკურ ღირებულებას უმაღლესი ხარისხის და უფრო გრძელვადიანი აქტივების და ხელსაყრელი პირობების შექმნით საზოგადოებაში ეკონომიკური კეთილდღეობისთვის იყენებს რესურსებს მოფრთხილებით, რაც უზრუნველყოფს მომავალი თაობების მიერ პოზიტიური სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებით სარგებლობას.

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის გზაზე

14. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა მოითხოვს სწორი ბალანსს დაგეგმვის, დიზაინის, მშენებლობის და ადაპტირებადი ხელახალი გამოყენების კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოს და ტექნიკურ ასპექტებს შორის, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით საერთო კეთილდღეობისთვის.
15. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა უნდა ქმნიდეს შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების ნაწილს. მთავარი მიზანი, რომელიც დაკავშირებულია მთლიანი აშენებული გარემოს, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის მაღალ ხარისხთან, უნდა გახდეს სავალდებულო სივრცითი გავლენის მქონე ყველანაირი საქმიანობისთვის. მაღალი ხარისხის მოთხოვნა უნდა განიხილებოდეს ეკონომიკური ან ტექნიკური ინტერესების დონეზე. შესაბამისი სტანდარტები და ნორმები უნდა შეესაბამებოდეს მაღალი ხარისხის მიზანს.
16. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა შეიძლება წარმოიშვას ინტერდისციპლინარული მსჯელობის კონტექსტში და მრავალდონიანი და სექტორული თანამშრომლობის გზით, რომელიც იმართება პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს, კომპეტენტურ ორგანოებსა და პროფესიონალებს შორის. ვინაიდან ეს მოიცავს შემოქმედებით, ფუნქციურ და სოციალურ ასპექტებს, ყველა შესაბამისმა დისციპლინამ და პროფესიონალმა მონაწილეობა უნდა მიიღოს თანაბარ საფუძველზე მაღალი ხარისხის ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითია ინტერდისციპლინური და ფართოდ განხილული დიზაინის კონკურსები. წარმატების მისაღწევად, მაღალი ხარისხის მშენებლობის

კულტურა ასევე მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოებისა და ინფორმირებული და გააქტიურებული მოსახლეობის მონაწილეობას.

17. უმაღლესი ხარისხის მშენებლობის კულტურა მოითხოვს ძალისხმევას განათლების და ცნობიერების ამაღლების სფეროში, რათა უზრუნველყოს მშენებლობის კულტურასთან დაკავშირებით უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება. ყველა ჩართული მხარე, როგორც საზოგადოების, ასევე კერძო სექტორიდან, იღებს პასუხისმგებლობას ჩვენი აშენებული გარემოს ხარისხზე, რომელიც მემკვიდრეობის სახით გადაეცემა მომავალ თაობებს.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მშენებლობის კულტურა, როგორც საერთო კეთილდღეობა, წარმოადგენს მთავრობების, ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის საერთო პასუხისმგებლობას და რომ აუცილებელია კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ტექნიკური საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება,

ვალდებულებას ვიღებთ:

18. ხელი შევუწყობთ მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის იდეებისა და პრინციპების გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, მთავრობისა და ზოგადად საზოგადოების სხვა წევრებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩათვლით და ყველა შესაბამისი და სათანადო ფორმით ხაზი გავუსვამთ მის სასარგებლო გავლენას საზოგადოებაზე;
19. გავატაროთ უკეთესი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მშენებლობის კულტურაზე ორიენტირებულ კონცეფციას და ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურაზე ხედვის ინტეგრირებას პოლიტიკის ძირითადი მიზნის სახით;
20. განვახორციელოთ შემდგომი ქმედებები და მივიღოთ ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ხედვის პოპულარიზაციას და განხორციელებას;
21. მოვუწოდოთ ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს, როგორც საჯაროს, ისე კერძოს, აღიარონ მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის დადებითი გავლენა საერთო კეთილდღეობაზე და აღიარონ თავიანთი პასუხისმგებლობა, რათა ხელი შეუწყონ მის განხორციელებას, განსაკუთრებით მშენებლობის კულტურასთან დაკავშირებული ინვესტიციების თვალსაზრისით;
22. წავახალისოთ მსოფლიოს სხვა რეგიონები, აღიარონ მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის მნიშვნელობა და მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში;
23. კვლავ შეიკრიბონ არაუგვიანეს 10 წლის შემდეგ, რათა შეაფასონ და განიხილონ პროგრესი, რომელსაც მიაღწევს ევროპა მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის გზაზე.

დავოსი (შვეიცარია), 2018 წლის 22 იანვარი